მოსწავლეთა მიღწევების შეფასება

სწავლა-სწავლების პროცესის მხარდასაჭერად

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი რამდენიმე წელია სკოლებს სთავაზობს პროექტს, რომლის მიზანიც დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა (მე-6 კლასი, მე-9 კლასი) მიღწევების შეფასება და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაა. მოსწავლეთა შეფასების საფუძველზე სკოლებს მიეწოდებათ ინფორმაცია კონკრეტული მოსწავლისა და სკოლის მიღწევების შესახებ. შეფასების შედეგები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ ის ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებების დასაგეგმად.

მე-6 კლასის მოსწავლეთათვის ტესტირების გავლა შესაძლებელია 3 საგანში:

- ✓ ქართული ენა და ლიტერატურა;
- ✓ მათემატიკა;
- ✓ ინგლისური ენა.

მე-9 კლასის მოსწავლეთათვის ტესტირებას გავლა შესაძლებელია 9 საგანში:

- ✓ ქართული ენა და ლიტერატურა;
- ✓ მათემატიკა;
- ✓ უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული ან რუსული);
- ✓ ისტორია;
- ✓ გეოგრაფია;
- ✓ ფიზიკა;
- ✓ ქიმია;
- ✓ ბიოლოგია;
- ✓ ხელოვნება.

საგნები თავის მხრივ დაყოფილია შინაარსობრივ სფეროებად, ე.წ. დომეინებად, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მხოლოდ საგნის, არამედ მისი ცალკეული შინაარსობრივი სფეროების სწავლების მხრივ არსებული სურათი.

ტესტირება კომპიუტერული წესით ტარდება **2 ივნისიდან - 9 ივნისამდე**.
ტესტირებაში სკოლების მონაწილეობა ნებაყოფლობითია.
კონკრეტული სკოლის შედეგები ხელმისაწვდომია მხოლოდ ამ სკოლისათვის.

რეკომენდაციები ტესტირების შედეგების გამოყენების შესახებ:

<u>სკოლის ხელმძღვანელობისათვის:</u>

- სწავლა-სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების დიაგნოსტიკისა და იმ სფეროების იდენტიფიცირებისათვის, რაშიც კონკრეტულ კლასს და/ან პედაგოგს დახმარება სჭირდება;
- როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მასწავლებლის საქმიანობის შესაფასებლად, უკუკავშირის მისაწოდებლად და მასწავლებლისათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად;
- შესაბამის კათედრებთან ერთად სწავლა-სწავლების შედეგების განხილვისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დასაგეგმად;
- კათედრების საქმიანობის შესაფასებლად.

<u>მასწავლებლისათვის</u>:

- მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შეფასებისა და ადეკვატური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;
- დინამიკაში მოსწავლის მიღწევების შეფასებისათვის;
- საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისა და გატარებული ცვლილებების შედეგების შესაფასებლად.

<u>კათედრისათვის</u>:

- კათედრის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად: ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად;
- გაუმჯობესების გზების დასასახად;
- განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შესაფასებლად.

<u>მოსწავლისათვის:</u>

- საკუთარი სწავლის შედეგების გასაგებად და მასწავლებელთან ერთად გაუმჯობესების გზების დასასახად.

<u>მშობლისათვის:</u>

- შვილის მიღწევების მონიტორინგისათვის და მასწავლებელთან ერთად შვილის სწავლის შედეგების გაუმჯობესების გეგმის შემუშავებისათვის.

ტესტირების შედეგები

- მოსწავლე ეკრანზე ხედავს ტესტირების ბოლოს მიღებულ ქულას.

თითოეული მონაწილე სკოლა იღებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

მონაწილე სკოლა მიიღებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

- თითოეული მოსწავლის რეიტინგული შედეგი პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს შორის (პროცენტილი);
- თითოეული მოსწავლის მიერ სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა კონკრეტულ საგანში;
- მოსწავლის მიერ თემატურ ბლოკში სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა;
- თითოეული მოსწავლის რეიტინგული შედეგი თემატურ ბლოკში პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს შორის (პროცენტილი);

ინფორმაცია სკოლის შესახებ

- სკოლის რეიტინგული ადგილი შესაბამის საგანში, ანუ რამდენ სკოლაზე უკეთესი შედეგი აჩვენა კონკრეტულმა სკოლამ შესაბამის საგანში (პროცენტილი);
- შესაბამისი სკოლის მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის ფარგლებში მიღწეული საშუალო შედეგი;
- შესაბამისი სკოლის მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის თემატურ ბლოკში მიღწეული საშუალო შედეგი;

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლებს ტესტირებაში მონაწილეობას მინიმალურ ფასად სთავაზობს - ერთი საგნის ტესტირებაში ერთი მოსწავლის მონაწილეობის საფასური 2 ლარია.

სკოლები შედეგებს სპეციალური სისტემის მეშვეობით გაეცნობიან.
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მზადაა, ტესტირებაში მონაწილეობის მსურველ ყველა სკოლას გაუწიოს კონსულტაცია და მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების შესახებ.

საკონტაქტო პირები:

მარიამ ღოღაძე
ტელეფონი: 595331204
ელ. ფოსტა: mariam.ghoghadze@naec.ge

ნინო კახაძე
ტელეფონი: 599877193
ელ. ფოსტა: nino.kakhadze@naec.ge

www.naec.ge
ცხელი ხაზი: 2473333